ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №0300/10/161

ქ. თბილისი

28 ივნისი, 2019 წელი

ერთი მხრივ, **შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“** (მის: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2), წარმოდგენილი - **გენერალური დირექტორის გიორგი შარკოვის** (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორე მხრივ, **სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი“** (იურიდ. მის: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №67) წარმოდგენილი - გენერალური დირექტორის **პაატა ლომაძის** სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), შემდგომში ორივე ერთად წოდებული როგორც მხარეები, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ” ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ამავე წესის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის გათვალისწინებით (შეთანხმება შესყიდვის შემდგომ), გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტებები

1.1. **„დამზღვევი -** შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ (იგივე „შემსყიდველი“) რომელიც „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ახორციელებს შესყიდვას გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის „დამზღვევი“.

1.2. **მზღვეველი -** სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი“ (იგივე „მიმწოდებელი“) - პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

1.3. **„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“** (შემდგომში „ხელშეკრულება“) შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. მათ შორის:

1.3.1 ტექნიკური დავალება (დანართი №1);

1.3.2 დასაზღვევო ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი (დანართი №2).

1.4. **„ხელშეკრულების ღირებულება“** - საერთო თანხა (სადაზღვევო პრემია), რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5. **„დღე“, „კვირა“, „თვე“** - კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.6. **„უფლებამოსილი მძღოლი~** - პირი, რომელიც დასაქმებულია შემსყიდველ ორგანიზაციაში, რომლის ასაკი აღემატება 18 წელს და რომელსაც გააჩნია დაზღვეული სატრანსპორტო საშუალებისათვის საჭირო (შესაბამისი კატეგორიის) მართვის უფლების დამადასტურებელი მოწმობა;

1.7. **„დაზღვევის ობიექტი~** - დამზღვევის კანონიერ საკუთრებაში (მფლობელობა, სარგებლობა) მყოფი ავტოსატრანსპორტო საშუალებისა ან/და მის ცალკეულ ნაწილთან დაკავშირებული ქონებრივი ინტერესები, რომელიც დაკავშირებულია ავტოსატრანსპორტო საშუალების ფლობასთან, სარგებლობასა და განკარგვასთან;

1.8. **`სატრანსპორტო საშუალება~** - სადაზღვევო პოლისსა და დანართში (ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი) მითითებული, შემსყიდველის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალება;

1.9. **`სადაზღვევო მოწმობა (პოლისი)~** - მზღვეველის მიერ გაცემული ხელმოწერილი საბუთი წინამდებარე ხელშეკრულების შესახებ;

1.10. **„სადაზღვევო თანხა“ -** სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური სიდიდე - მზღვეველის პასუხისმგებლობის მაქსიმალური ლიმიტი;

1.11. **„სადაზღვევო შემთხვევა“** – მოვლენა, რომლის დადგომისას წინამდებარე ხელშეკრულება/პოლისი ითვალისწინებს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდას;

1.12. **`სადაზღვევო რისკი~** - მოვლენა, რომელიც შეიცავს მისი დადგომის შესაძლებლობის და შემთხვევითობის ნიშნებს და რომლის გამოც ხდება დაზღვევა. სადაზღვევო რისკები განისაზღვრება ხელშეკრულებით/პოლისით;

1.13. **`სადაზღვევო ანაზღაურება~** - ანაზღაურება, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მზღვეველის მიერ გაიცემა დამზღვევზე/დაზღვეულზე/დაზარალებულ მესამე პირზე;

1.14. **„მიყენებული ზიანი“** - მატერიალური ზიანი, რომელიც მიადგა დამზღვევს/დაზღვეულს/ დაზარალებულ მესამე პირს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგად;

1.15. **„სრული ზიანი“** - ზიანი, რომლის შედეგადაც ავტოსატრანსპორტო საშუალების აღდგენის ღირებულება შეადგენს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას საბალანსო ღირებულების 70%-ს ან მეტს ან არსებობს შესაბამისი ექსპერტის დასკვნა, რომ სატრანსპორტო საშუალების აღდგენა მიზანშეუწონელია ან ავტოსატრანსპორტო საშუალება გატაცებულია და მისი პოვნა ვერ ხერხდება;

1.16. **„სადაზღვევო პრემია“** - თანხა, რომელიც უნდა გადაუხადოს დამზღვევმა მზღვეველს დაზღვევის საფასურად - დაზღვევის ღირებულება.

1.17. **„სადაზღვევო პერიოდი“** - წინამდებარე ხელშეკრულებაში/პოლისში მითითებული დაზღვევის მოქმედების ვადა.

1.18. **„წერილობითი განაცხადი შემთხვევის დადგომის შესახებ“** - დამზღვევის/დაზღვეულის/უფლებამოსილი მძღოლის/უფლებამოსილი პირის მიერ შემთხვევის დადგომის შემდეგ შევსებული დოკუმენტი, სადაც მიეთითება შემთხვევის დადგომის დრო, ადგილი, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო მონაცემები, ასევე ყველა ის არსებითი გარემოება, რომლის შესახებაც ინფორმირებულია დამზღვევი/დაზღვეული/ უფლებამოსილი მძღოლი/უფლებამოსილი პირი და რომლის საფუძველზეც მზღვეველი იღებს ვალდებულებას დაიწყოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საკითხის (ზიანის დარეგულირების) განხილვა;

1.19. **„მგზავრი“** - ფიზიკური პირი, რომელიც ზის, მგზავრობს, ჯდება, გადმოდის დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალებიდან;

1.20. **„უპირობო ფრანშიზა“** - სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ზიანის ნაწილი, რომელსაც მზღვეველი არ ანაზღაურებს. მზღვეველი არ ანაზღაურებს ზიანს, თუ მისი სიდიდე არ აღემატება ფრანშიზას, ხოლო თუ ზიანი მეტია ფრანშიზაზე მზღვეველი იხდის სხვაობას სრულ ასანაზღაურებელ ზიანსა და ფრანშიზას შორის;

1.21. **„დაზღვეული“** – პირი, რომლის მიმართაც ხორციელდება დაზღვევა;

1.22. **„მოსარგებლე“** – პირი, რომელიც ხელშეკრულების თანახმად იღებს სადაზღვევო ანაზღაურებას.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №0300/10/16 1

ქ. თბილისი

28 ივნისი, 2019 წელი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის ბალანსზე რიცხული **მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებების სადაზღვევო მომსახურება** (შემდგომში „მომსახურება"), წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2.2. შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: **66500000**.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **21'500.10 (ოცდაერთი ათას ხუთასი ლარი და ათი თეთრი) ლარს.**

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევის მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი

4.1 მომსახურების გაწევის ვადა: **2019 წლის 1 ივლისიდან (მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულების მოწერის მომენტიდან) სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარებისა და გამარჯვებული მიმწოდებლის გამოვლენამდე, მაგრამ არაუმეტეს 2019 წლის 31 აგვისტოსი.**

4.1 მომსახურების გაწევის ადგილი: დაზღვევის არეალი - საქართველოს ტერიტორია.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 მიმწოდებლის მიერ აღებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

5.2 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს: შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" სატრანსპორტო სამსახურის უფროსი/მოვალეობის შემსრულებელი (შემდგომში „ინსპექტირების განმახორციელებელი პირი");

5.3 ინსპექტირების განმახორციელებელი პირის ფუნქციებია:

5.3.1 გაუწიოს კონტროლი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადების დაცვას;

5.3.2 დაადგინოს გაწეული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;

5.3.3 გააფორმოს მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტი და უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გამოწერილი პოლისის მიღება.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

6.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

6.3. მიღება-ჩაბარების აქტი დგება მომსახურების მიწოდების დასრულების შემდეგ.

6.4. მომსახურების მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7. ანგარიშსწორების პირობები და ვადები

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში, საანგარიშო თვის მომდევნო თვეს, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადახდო დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7.3. წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. **შემსყიდველი (დამზღვევი) ვალდებულია:**

8.1.1 გადაიხადოს სადაზღვევო პრემია წინამდებარე ხელშეკრულებითა და სადაზღვევო პოლისის შესაბამისად;

8.1.2 სადაზღვევო პერიოდში შემთხვევის დადგომისას:

ა) დაუყოვნებლივ (შესაძლებლობის ფარგლებში), მაგრამ არაუგვიანეს 24 საათისა აცნობოს მიმწოდებელს შემთხვევის დადგომის შესახებ, შემდეგ სატელეფონო ნომერზე (995 32) 2 505 111.

ბ) დაუყოვნებლივ (შესაძლებლობის ფარგლებში) შეატყობინოს საპატრულო პოლიციას შემთხვევის შესახებ;

გ) შემთხვევის დადგომიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში (გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეებისა და შაბათ-კვირისა) მიაწოდოს მიმწოდებელს უფლებამოსილი პირის მიერ წერილობითი განაცხადი (მხარეებს შორის შეთანხმებული ფორმით) სადაზღვევო ანაზღაურების მიღების მოთხოვნით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) შემთხვევის დადგომიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში (გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეებისა და შაბათ-კვირისა), მოთხოვნის შემთხვევაში, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიაწოდოს მიმწოდებელს მის ოფიციალურ ელექტრონულ მისამართზე sales@gpih.ge უფლებამოსილი მძღოლის მართვის მოწმობის, პირადობის მოწმობის და შემთხვევაში მონაწილე დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო მოწმობის ასლები და დაზღვევის პირობებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია;

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია"	სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი"
_____	_____
გიორგი შარკოვი	პაატა ლომაძე
გენერალური დირექტორი	გენერალური დირექტორი

ქ. თბილისი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №0300/10/161

28 ივნისი, 2019 წელი

ე) საჭიროების შემთხვევაში, ხელი შეუწყოს მიმწოდებელს დაზიანებული ან/და განადგურებული დაზღვევის ობიექტის დათვალიერებაში მისი ნარჩენების შეკეთებამდე ან/და აღდგენამდე, დაზიანების ან/და განადგურების ფაქტის ან/და ხარისხის დასადგენად.

8.2 **შემსყიდველი (დამზღვევი) უფლებამოსილია:**

8.2.1 შემთხვევის დადგომისას მიიღოს ზიანის ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

8.2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულების ფარგლებში და წინამდებარე ხელშეკრულების 11.2 და 11.3 პუნქტების დებულებების გათვალისწინებით, ნებისმიერ დროს დააკორექტიროს (გაზარდოს/შეამციროს) სატრანსპორტო საშუალებათა ჩამონათვალი.
აღნიშნულის შესახებ მიმწოდებელს უნდა ეცნობოს წერილობით წინასწარ 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე. შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს დასაკორექტირებელ სატრანსპორტო საშუალებათა ჩამონათვალი, მონაცემები, მათი ღირებულება და დაზღვევის გაუქმების ან/და ძალაში შესვლის თარიღი. ამ თარიღის მიხედვით გამოითვლება: (1) მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის დასაბრუნებელი (გამოუმუშავებელი) სადაზღვევო პრემიის ოდენობა სატრანსპორტო საშუალების შემცირების შემთხვევაში; (2) შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის გადასახდელი სადაზღვევო პრემიის ოდენობა სატრანსპორტო საშუალების დამატების შემთხვევაში, დაზღვევის პირობების გათვალისწინებით.

8.2.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაასაჩივროს მიმწოდებლის გადაწყვეტილება, რომელიც მას მიაჩნია არასამართლიანად;

8.2.4 მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება.

8.3 **მიმწოდებელი (მზღვეველი) ვალდებულია:**

8.3.1 ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, შემსყიდველზე გასცეს ხელშეკრულების დამადასტურებელი სადაზღვევო მოწმობა (პოლისი) ხელშეკრულების გაფორმებისთანავე;

8.3.2 უზრუნველყოს ხელშეკრულებაში მითითებული სატელეფონო ნომრების 24 საათიანი მუშაობა და შემთხვევის დადგომის შემთხვევაში, ზარის მიღების შეუფერხებელი შესაძლებლობა;

8.3.3 შემთხვევის დადგომის შესახებ შეტყობინებიდან არაუგვიანეს 1 საათისა, გამოცხადდეს შემთხვევის ადგილზე, თუ საჭიროდ მიიჩნევს შემთხვევის ადგილზე გასვლას. 1 საათის გასვლის შემდეგ შემსყიდველი უფლებამოსილია აღარ დაელოდოს მიმწოდებლის წარმომადგენლის მისვლას;

8.3.4 უზრუნველყოს საპატრულო სამსახურთან ურთიერთობა და შესაბამისი დოკუმენტაციის მოპოვება;

8.3.5 უზრუნველყოს ზიანის დარეგულირებისათვის საჭირო დოკუმენტების დროული მოგროვება (მათ შორის სამართალდარღვევის ოქმის მოძიება), სადაზღვევო შემთხვევის აქტის შედგენა (მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებული ფორმით);

8.3.6 მიაწოდოს დამზღვევს ინფორმაცია სადაზღვევო კომპანიაში წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ და გაუწიოს დახმარება აღნიშნული დოკუმენტაციის მომზადებაში;

8.3.7 უზრუნველყოს დამზღვევი სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში შესადგენი წერილობითი განაცხადის ფორმით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

8.3.8 აუნაზღაუროს შემსყიდველს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;

8.3.9 უზრუნველყოს მესამე პირებთან ურთიერთობა და მათთვის მიყენებული ზიანის დარეგულირება, სადაზღვევო შემთხვევის აქტის საფუძველზე, რომელიც უნდა წარუდგინოს დამზღვევს ზიანის ანაზღაურებისათვის დადგენილი ვადების დაცვით (დანართი №1);

8.3.10 უზრუნველყოს დაზარალებულ მგზავრებთან ურთიერთობა და მათთვის მიყენებული ზიანის დარეგულირება, სადაზღვევო შემთხვევის აქტის საფუძველზე, რომელიც უნდა წარუდგინოს დამზღვევს ზიანის ანაზღაურებისათვის დადგენილი ვადების დაცვით (დანართი №1);

8.3.11 ამ პუნქტის 8.3.4; 8.3.5; 8.3.9 და 8.3.10 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამისი ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე იმოქმედოს შემსყიდველის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში;

8.3.12 სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანის ოდენობის დადგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში შემსყიდველზე გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება ან მოტივირებული უარი;

8.3.13 ხელშეკრულების დადების ან/და მოქმედების პერიოდში, დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს საკონტაქტო ინფორმაციის შეცვლის შესახებ;

8.3.14 უზრუნველყოს ხარისხიანი მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტექნიკური პირობების შესაბამისად (დანართი №1).

8.4 **მიმწოდებელი (მზღვეველი) უფლებამოსილია:**

8.4.1 მონაწილეობა მიიღოს სადაზღვევო შემთხვევის მიზეზების დადგენასა და ზიანის სიდიდის შეფასებაში, მოსთხოვოს ხელშეწყობა შემსყიდველს;

8.4.2 მიიღოს შემსყიდველისაგან საჭირო დოკუმენტაცია ან/და ინფორმაცია სადაზღვევო შემთხვევის ან/და სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის დასადგენად.

9 სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის დადგენა და გაცემის წესი

9.1 ზიანის ოდენობის დადგენა ხდება სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან და ყველა საჭირო დოკუმენტის მიღების თარიღიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

9.2 სადაზღვევო ანაზღაურება ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში განხორციელდება სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანის ოდენობის დადგენიდან არაუგვიანეს 8.3.12 პუნქტში მითითებული ვადის შესაბამისად.

9.3 სრული განადგურების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილების შესაბამისად, სადაზღვევო თანხის ფარგლებში, მიმწოდებელი გასცემს სადაზღვევო ანაზღაურებას, არაუმეტეს ავტოსატრანსპორტო საშუალებ(ებ)ის საბალანსო ღირებულებისა ყველა

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“	სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი“
გიორგი შარკოვი	პაატა ლომაძე
გენერალური დირექტორი	გენერალური დირექტორი

LLC Tbilisi Transport Company

Подписано цифровой подписью: LLC Tbilisi Transport Company
Дата: 2019.06.28 17:37:57 +04'00'

საჭირო დოკუმენტის მიღებიდან და ზარალის დაანგარიშებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, ან უზრუნველყოფს ყველა საჭირო დოკუმენტის მიღებიდან და ზარალის დაანგარიშებიდან შემსყიდველისათვის ანალოგიური მონაცემების მქონე (მათ შორის მარკა, მოდელი და სხვა) ავტოსატრანსპორტო საშუალებ(ებ)ის საკუთრებაში გადაცემას გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა.

9.4 სრული განადგურების შემთხვევაში (მათ შორის გატაცებული სატრანსპორტო საშუალების პოვნისას) და მიმწოდებელის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების განხორციელებისას, დამზღვევი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე საკუთრებაში გადასცემს მზღვეველს სატრანსპორტო საშუალებას შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ მომსახურების სააგენტოში შესაბამისი რეგისტრაციის მოხსნის გზით ან შესაძლებელია მხარეები შეთანხმდნენ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე ვარგისი ნაწილების ღირებულების გამოკლებით, შესაბამისი სადაზღვევო შემთხვევის აქტის საფუძველზე.

9.5 იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის ვერ მოხდა შეთანხმება ზიანის ოდენობაზე, ზიანის ოდენობის განსაზღვრა მოხდება მხარეთა შორის შეთანხმებული საამისოდ უფლებამოსილი ექსპერტის მიერ.

9.6 გაცემული მთლიანი (ჯამური) ანაზღაურება არ შეიძლება აღემატებოდეს სადაზღვევო პოლისში მითითებულ მზღვეველის პასუხისმგებლობის მაქსიმალურ ლიმიტს (სადაზღვევო თანხას).

9.7 თუ შემსყიდველმა ზიანის დადგომისას შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება, დაუშვებელია მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის სადაზღვევო შემთხვევის დარეგულირებაზე უარის თქმა მიმწოდებლის წარმომადგენლის შემთხვევის ადგილზე გამოუცხადებლობის გამო.

10 სუბროგაცია

მზღვეველისთვის კანონით მინიჭებული სუბროგაციის უფლება არ გამოიყენება დამზღვევის უფლებამოსილი მძღოლის მიმართ.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს უფლება არ აქვს ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3 დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევისა.

11.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

12.1.1. მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

12.1.2. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;

12.1.3. საქართველოს კანონმდებლობით ან/და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.2 შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება (მთლიანად ან ნაწილობრივ), თუ:

12.2.1 მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

12.2.2. მიმწოდებელი სისტემატიურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

12.2.3. მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან გაგრძელებულ ვადებში ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას;

12.2.3. მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

12.2.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13. მხარეთა პასუხისმგებლობა

13.1 მხარეები იღებენ ვალდებულებას, აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

13.2 შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის, პირგასამტეხლოს სახით მიმწოდებელს გადაუხადოს გადასახდელი თანხის 0.1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

13.3 მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას მომსახურების გაწევის ვადებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს გადაუხადოს ვადაგადაცილებული ვალდებულების ღირებულების 0.1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

14. ფორს-მაჟორი

14.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით ან/და მხარეები ხელშეკრულების შესრულების პროცესში წააწყდებიან ისეთ ხელშემშლელ გარემოებებს, რომელიც გამოწვეულია მათგან დამოუკიდებელი სხვა ობიექტური მიზეზებით. ასეთი ვითარების არსებობის შემთხვევაში

ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.

14.3 მხარე, რომელიც ხელშეკრულების 14.1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან გონივრულ ვადაში წარმოადგინოს ფორს-მაჟორული ან/და სხვა ხელშემშლელი გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტი შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს.

14.4 ფორს-მაჟორული ან/და სხვა ხელშემშლელი გარემოებების დადგომის შემთხვევაში თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14.5 ხელშეკრულების 14.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება.

15. დავების გადაწყვეტა

მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

16. ხელშეკრულების სხვა პირობები

16.1 ხელშეკრულების არც-ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

16.2 წინამდებარე ხელშეკრულების ერთი ან რამდენიმე პუნქტის გაუქმება (მათ შორის სასამართლოს მიერ) არ იწვევს ამ ხელშეკრულების დანარჩენი ნაწილების მოქმედების შეწყვეტას.

16.3 სადაზღვევო მომსახურებასთან დაკავშირებული ის საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

16.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2019 წლის 31 ოქტომბრის** ჩათვლით.

18. მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

„შემსყიდველი"
შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია"
საიდენტიფიკაციო კოდი: 202886788
მის: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2
ტელ: (995 32) 2 93 50 50.
სს თიბისი ბანკი
ა/ა GE67TB7931836070100001; ბანკის კოდი: TBCBGE2

„მიმწოდებელი"
სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი"
საიდენტიფიკაციო კოდი: 204426674
მის: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №67
ტელ: +995 505111
სს თიბისი ბანკი
ა/ა GE13TB1100000005700652; ბანკის კოდი: TBCBGE2

„შემსყიდველი"
შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია"

_____
გიორგი შარკოვი
გენერალური დირექტორი

„მიმწოდებელი"
სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი"

_____
პაატა ლომაძე
გენერალური დირექტორი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №0300/10/161

ქ. თბილისი

29 ივნისი, 2019 წელი

დანართი N1

ტექნიკური დავალება

მომსახურების ტექნიკური დავალება

ავტოსატრანსპორტო საშუალებების სადაზღვევო მომსახურება უნდა მოიცავდეს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" ბალანსზე რიცხული 74 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების (ავტოსატრანსპორტო საშუალების ჩამონათვალი ტექნიკურ დავალებას თან ერთვის) დაზღვევას (ყველა სატრანსპორტო საშუალება არის ექსპლუატაციაში ნამყოფი), შემდეგ სადაზღვევო შემთხვევებზე:

ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზღვევა ფიზიკური/გარეგანი დაზიანებისაგან (ავტოკასკო)

1. ავტოსაგზაო შემთხვევა (უფლებამოსილი მძღოლის ბრალეულობის მიუხედავად) რომელიც მოხდა სადაზღვევო პოლისში მითითებული არეალის ფარგლებში;
2. სადაზღვევო შემთხვევის დროს, ასევე ნაწილობრივი დაზიანებისას, სადაზღვევო თანხის ფარგლებში ავტოსატრანსპორტო საშუალების ევაკუაციასთან დაკავშირებული ხარჯები, ავტომანქანის საჯარიმო სადგომზე გადაყვანის შემთხვევაში გამოყვანასთან დაკავშირებული ხარჯები;
3. ავტოსატრანსპორტო საშუალების გატაცება, ქურდობა (მათ შორის საქარე მინები, სარკეები და ავტომობილის სხვა დამატებითი აღჭურვილობა), ძარცვა, ყაჩაღობა, ვანდალიზმი;
4. სხვადასახვა საგნის დაცემა ან/და უბედური შემთხვევით (მოულოდნელი მოვლენა, რომელმაც გამოიწვია დაზიანება, გარეშე და აშკარა მიზეზებით);
5. თვითაალება, ხანძარი ან/და აფეთქება;
6. სტიქიური უბედურებები: წყალდიდობა, მიწისძვრა, მეწყერი, ზვავი, ქარიშხალი, მეხის დაცემა, სეტყვა და სხვა;
8. სრული განადგურება (Total Loss) - ზიანი, რომლის შედეგადაც ავტოსატრანსპორტო საშუალების აღდგენის ღირებულება შეადგენს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას საბალანსო ღირებულების 70%-ს ან ავტოსატრანსპორტო საშუალება გატაცებულია და მისი პოვნა ვერ ხერხდება. სრული განადგურების შემთხვევაში, სადაზღვევო თანხის ფარგლებში, მიმწოდებელი გასცემს სადაზღვევო ანაზღაურებას არაუმეტეს ავტოსატრანსპორტო საშუალებ(ებ)ის საბალანსო ღირებულებისა ყველა საჭირო დოკუმენტის მიღებიდან და ზარალის დაანგარიშებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

მესამე პირის წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა

1. სადაზღვევო შემთხვევას წარმოადგენს საავტომობილო გზაზე დაზღვეული ავტომანქანის მოძრაობისას/უფლებამოსილი მძღოლის მიერ მართვისას წარმოქმნილი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, რომლის დროსაც ზიანი მიადგა მესამე პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას.
2. ავტოსატრანსპორტო საშუალებების დამზღვევის მესამე პირის წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის **დაზღვევა (ლიმიტი - 20 000 ლარი) ერთ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე**. ასევე მზღვეველმა უნდა უზრუნველყოს მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
3. მესამე პირის გარდაცვალების შემთხვევაში, გარდაცვლილის წარმომადგენელს (მემკვიდრეს) უნდა აუნაზღაურდეს თანხა (დაკრძალვის, მარჩენალის, სასამართლო და სხვა) მე-2 პუნქტით განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში, არაუმეტეს 10000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით.
4. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად მესამე პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება უნდა მოხდეს მიყენებული ზიანის გათვალისწინებით, მაქსიმალური ლიმიტის ფარგლებში.
5. თუ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზარალდა რამდენიმე პირი, სადაზღვევო ანაზღაურება თითოეულს მიეცემა პროპორციულად მიყენებული ზიანის გათვალისწინებით, მაქსიმალური ლიმიტის ფარგლებში.
6. მესამე პირებს ამ დაფარვის მიხედვით არ წარმოადგენენ უფლებამოსილი მძღოლი და მისი მგზავრები, ასევე შემსყიდველის თანამშრომლები.

უბედური შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანისაგან დაზღვევა

1.მძღოლისა და მგზავრების საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევისაგან დაზღვევის ობიექტს წარმოადგენს დამზღვევის ქონებრივი ინტერესი, დაკავშირებული სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის დაზღვეულ ავტომანქანაში მყოფი დამზღვევის ან/და მგზავრების სიცოცხლესთან და ჯანმრთელობასთან.
2. მძღოლისა და მგზავრების დაზღვევა უბედური შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანისაგან (ლიმიტი - 15 000 ლარი. ერთ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე. ქველიმიტი დაზარალებულ პირთა რაოდენობის მიხედვით პროპორციულად).

ფრანშიზა: აღნიშნული დაზღვევის ფარგლებში ფრანშიზის ოდენობა შეადგენს 0%-ს.

უფლებამოსილი მძღოლი - სრულწლოვანი პირი, რომელიც დასაქმებულია შემსყიდველ ორგანიზაციაში და რომელსაც გააჩნია დაზღვეული სატრანსპორტო საშუალებისათვის საჭირო (შესაბამისი კატეგორიის) მართვის უფლების დამადასტურებელი მოწმობა.

სადაზღვევო არეალი:

საქართველო.

ტექნიკური მომსახურება: სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებისას ნებისმიერი სახის ტექნიკური მომსახურება (საჭიროების შემთხვევაში, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიხედვით) გაწეული უნდა იქნეს ავტოსატრანსპორტო საშუალების ავტორიზებულ სერვისცენტრში, გარდა იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა, რომელთა საგარანტიო პერიოდი ამოწურულია - ამგვარი ავტომანქანების შეფასება და მომსახურეობის გაწევა

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია"	სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი"
_____	_____
გიორგი შარკოვი	პაატა ლომაძე
გენერალური დირექტორი	გენერალური დირექტორი

განხორციელდება მხარეთა შორის ერთობლივად შერჩეულ შემკეთებელ საწარმოში. ამასთან, მიმწოდებელი არ არის პასუხისმგებელი გააკონტროლოს შეკეთების პროცესი.

სადაზღვევო პირობები არ ითვალისწინებს შემდეგი ხარჯების ანაზღაურებას:
თუ უფლებამოსილი მძღოლი ავტოსატრანსპორტო საშუალებას მართავს ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან სხვა ფსიქოტროპული საშუალების ზემოქმედების ქვეშ;

- თუ დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალება გატაცებულია მასში დატოვებული გასაღებით ან/და ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობით;
- გატაცება ან ფიზიკური დაზიანება, გამოწვეული შემსყიდველის ბრალეულობით ან მესამე პირის მიერ დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების ხელში ჩაგდების მიზნით;
- თუ დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალება ბუნებრივი მიზეზებით დაკარგავს ფასს;
- არ ანაზღაურდება აღდგენასთან ერთად ჩატარებული სამუშაოები ავტოსატრანსპორტო საშუალების გაუმჯობესების მიზნით;
- ზიანი, რომლის მიზეზია: ცვეთა, დაჟანგვა, კოროზია, მექანიკური ან ელექტრული გაუმართაობა, გატეხვა, სამუშაო პირობების დარღვევა, გამაგრილებელი ან სხვა სახის სითხის გაყინვა, გასაპოხი სისტემის გაუმართაობა, გასაპოხი ან გამაგრილებელი სითხის ნაკლებობა. თუმცა თუ ასეთი გაუმართაობის ან სამუშაო პირობების დარღვევის შედეგად მოხდება სატრანსპორტო შემთხვევა, რომელიც გარეგან დაზიანებებს გამოიწვევს, ეს დაზიანებები ანაზღაურდება;
- საკეტების გამოცვლა, თუ გასაღებები მოპარულია ან დაკარგული;
- დაზღვეულ ავტოსატრანსპორტო სამუშალებაში არსებული ნივთების, მათ შორის აუდიო აპარატურის, კასეტების, კომპაქტ დისკების, ტელეფონების, ტელე და რადიო აპარატურის, ფულის, დოკუმენტების და ა.შ. დაკარგვით;
- ირიბი და სხვა ხარჯები, რომლებიც გამოწვეულია სადაზღვევო შემთხვევით (ადმინისტრაციული ჯარიმა, მივლინების ხარჯები, მიუღებელი შემოსავლები, მორალური ზიანი და ა.შ.).
- ზიანი, რომელიც გამოწვეულია შემდეგით: ომი, ტერიტორიის ოკუპაცია, შეიარაღებული კონფლიქტი (იმის მიუხედავად იყო თუ არა გამოცხადებული ომი), სამოქალაქო ომი, აჯანყება, რევოლუცია, გაფიცვა, სამოქალაქო არეულობა, სამხედრო გადატრიალება, ხელისუფლების უზურპაცია, საბოტაჟი პოლიტიკური ორგანიზაციების დავალებით, შეთქმულება, სამთავრობო ორგანიზაციის დადგენილებით დაზღვეული ქონების კონფისკაცია;
- რეკვიზიცია, განადგურება ან დაზიანება, ბირთვული რეაქცია, ბირთვული გამოსხივება ან რადიაქტიური დაბინძურება;
- ზიანი, რომელიც მხოლოდ ინვენტარიზაციის მსვლელობაში გამოვლინდება;
- საბურავების დაზიანება გახევის, გახვრეტის ან გაჭრის შედეგად, თუ ამის მიზეზი არ არის საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა.

„შემსყიდველი“
შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“

_____

გიორგი შარკოვი

გენერალური დირექტორი

„მიმწოდებელი“
სს „სადაზღვევო კომპანია ვიპ პი აი ჰოლდინგი“

_____

პაატა ლ[illegible]

გენერალური დირექტორი

VIPIPI
ეროვნული ბანკის

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

ს.ს. "სადაზღვევო კომპანია
ვიპიპი ჰოლდინგი"

№	დასახელება	სახ. ნომერი	გამოშვების წელი	განზ.	რაოდ.	საბაზრო ღირებულება (ლარი) - 2019 წლის მდგომარეობით
1	„კია სერატო“ სედანი	UU434UU	2013	ც	1.00	14,300.00
2	„კია სერატო“ სედანი	BB723II	2011	ც	1.00	12,500.00
3	„ფორდ ტრანზიტი“	CNC-473	2012	ც	1.00	20,000.00
4	„კია რიო“	QQ907ZZ	2012	ც	1.00	12,000.00
5	„ფორდ ტრანზიტი“ კომბი	KCK-778	2013	ც	1.00	16,000.00
6	„ფორდ ტრანზიტი“ კომბი	KCK-779	2013	ც	1.00	16,000.00
7	„ფორდ ტრანზიტი“ კომბი	KCK-780	2013	ც	1.00	16,000.00
8	„ჰიუნდაი აქცენტ“ ჰეჩბეკი	KCK-920	2013	ც	1.00	13,000.00
9	„ჰიუნდაი აქცენტ“ სედანი	KCK-924	2013	ც	1.00	14,300.00
10	„ჰიუნდაი აქცენტ“ სედანი	KCK-925	2013	ც	1.00	14,300.00

11	„ჰიუნდაი აქცენტ“ სედანი	KCK-926	2013	ც	1.00	14,300.00
12	ვოლკსვაგენ პიკაპი (Amarok)	IG572GI	2012	ც	1.00	23,000.00
13	ჰიუნდაი სონატა	UU015UU	2014	ც	1.00	23,500.00
14	დაფ სატვირთო	TTC-270	1995	ც	1.00	18,500.00
15	„მმზ-45021“	TTC-150	1988	ც	1.00	6,500.00
16	„კია სერატო“ სედანი	FCF-594	2011	ც	1.00	12,500.00
17	„გაზელი-33021“	TTC-025	1996	ც	1.00	4,100.00
18	„ზილ-431410“	TTC-909	1989	ც	1.00	4,500.00
19	„ფორდ ტრანზიტ“	TTC-106	1992	ც	1.00	4,700.00
20	„ფორდ ტრანზიტ“	TTC-205	2008	ც	1.00	11,000.00
21	„ფორდ ტრანზიტ“	TTC-204	2008	ც	1.00	11,000.00
22	„ფორდ ტრანზიტ“	TTC-997	2008	ც	1.00	11,000.00
23	„ფორდ ტრანზიტ“	TTC-998	2008	ც	1.00	11,000.00
24	„მიცუბიში L-200“	GSG-555	2009	ც	1.00	18,000.00

25	„კია ოპტიმა“ სედანი	VF010FV	2011	ც	1.00	13,500.00
26	„კია ოპტიმა“ სედანი	UU212UU	2011	ც	1.00	13,500.00
27	„კია ოპტიმა“ სედანი	UU525UU	2011	ც	1.00	13,500.00
28	„კია ოპტიმა“ სედანი	UU747UU	2011	ც	1.00	13,500.00
29	„კია ოპტიმა“ სედანი	UU545UU	2011	ც	1.00	13,500.00
30	„კია სერატო“ სედანი	FCF-664	2011	ც	1.00	12,500.00
31	„კია სერატო“ სედანი	FCF-662	2011	ც	1.00	12,500.00
32	„კია სერატო“ სედანი	FCF-665	2011	ც	1.00	12,500.00
33	„კია სერატო“ სედანი	FCF-667	2011	ც	1.00	12,500.00
34	„კია სერატო“ სედანი	FCF-663	2011	ც	1.00	12,500.00
35	„კია სერატო“ სედანი	FCF-669	2011	ც	1.00	12,500.00
36	„კია სერატო“ სედანი	FCF-458	2011	ც	1.00	12,500.00
37	„კია სერატო“ სედანი	FCF-578	2011	ც	1.00	12,500.00
38	„კია სერატო“ სედანი	FCF-583	2011	ც	1.00	12,500.00
39	„კია სერატო“ სედანი	FCF-661	2011	ც	1.00	12,500.00

40	„კია სერატო“ სედანი	FCF-646	2011	ც	1.00	12,500.00
41	„კია სერატო“ სედანი	FCF-652	2011	ც	1.00	12,500.00
42	„კია სერატო“ სედანი	FCF-655	2011	ც	1.00	12,500.00
43	„კია სერატო“ სედანი	FCF-656	2011	ც	1.00	12,500.00
44	„კია პიკანტო“ ჰეჩბეკი	FCF-456	2011	ც	1.00	8,200.00
45	„კია პიკანტო“ ჰეჩბეკი	FCF-459	2011	ც	1.00	8,200.00
46	„კია პიკანტო“ ჰეჩბეკი	FCF-587	2011	ც	1.00	8,200.00
47	„კია პიკანტო“ ჰეჩბეკი	FCF-654	2011	ც	1.00	8,200.00
48	„კია პიკანტო“ ჰეჩბეკი	FCF-657	2011	ც	1.00	8,200.00
49	„კია პიკანტო“ ჰეჩბეკი	FCF-658	2011	ც	1.00	8,200.00
50	„კია პიკანტო“ ჰეჩბეკი	TT901CB	2011	ც	1.00	8,200.00
51	„კია პიკანტო“ ჰეჩბეკი	TT906CB	2018	ც	1.00	17,000.00
52	„კია პიკანტო“ ჰეჩბეკი	TT907CB	2018	ც	1.00	17,000.00
53	„კია პიკანტო“ ჰეჩბეკი	TT908CB	2018	ც	1.00	17,000.00

54	„კია პიკანტო“ ჰეჩბეკი	TT909CB	2018	ც	1.00	17,000.00
55	„კია პიკანტო“ ჰეჩბეკი	FCF-670	2011	ც	1.00	8,200.00
56	„კია პიკანტო“ ჰეჩბეკი	FCF-671	2011	ც	1.00	8,200.00
57	„ჰიუნდაი i10“ ჰეჩბეკი	KCK-923	2013	ც	1.00	14,500.00
58	„ჰიუნდაი i10“ ჰეჩბეკი	FFT-316	2013	ც	1.00	14,500.00
59	„ჰიუნდაი i10“ ჰეჩბეკი	FFT-317	2013	ც	1.00	14,500.00
60	„ჰიუნდაი i10“ ჰეჩბეკი	FFT-319	2013	ც	1.00	14,500.00
61	„ჰიუნდაი i10“ ჰეჩბეკი	FFT-321	2013	ც	1.00	14,500.00
62	„ჰიუნდაი i10“ ჰეჩბეკი	FFT-322	2013	ც	1.00	14,500.00
63	„ნისან ქაბსტარი“	TTC-065	2006	ც	1.00	19,500.00
64	„ჰიუნდაი აქცენტ“ სედანი	BBU-252	2012	ც	1.00	14,300.00
65	„მიცუბიში L-200“	TT904CB	2018	ც	1.00	55,000.00
66	„მიცუბიში L-200“	TT905CB	2018	ც	1.00	55,000.00

67	ივეკო DAILY 70C15D	TT701CB	2018	ც	1.00	150,000.00
68	ჰიუნდაი Ioniq Hybrid	TT702CB	2018	ც	1.00	57,000.00
69	ჰიუნდაი Ioniq Hybrid	TT703CB	2018	ც	1.00	57,000.00
70	ჰიუნდაი Ioniq Hybrid	TT704CB	2018	ც	1.00	57,000.00
71	ჰიუნდაი Ioniq Hybrid	TT705CB	2018	ც	1.00	57,000.00
72	ივეკო DAILY 50C15D	TT706CB	2018	ც	1.00	195,000.00
73	MAZ-5337 (ამწე)	TTC-221	1997	ც	1.00	9,000.00
74	JCB 3CXSM4T (ექსკავატორი ბორბლიანი)	KK-521	2011	ც	1.00	73,500.00